

2014 წლის 10 ნოემბერი,

ლიბერთი ბანკის წინადადება, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2014 წლის ოქტომბერში გამოცხადებულ საბანკო მომსახურების კონკურსზე

სოციალური მომსახურების სააგენტოს საკონკურსო კომისიას

წინამდებარე წერილით, წარდგენილი საკონკურსო წინადადებითა და შესაბამისი დანართებით გვსურს დავადასტუროთ მონაწილეობა სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ფულადი გასაცემლების ჩარიცხვისა და ბანკის მიერ ბენეფიციარებისთვის ფულადი გასაცემლის გაცემა/დარიგების მომსახურების შესახებ გამოცხადებულ კონკურსში (შემდგომში „კონკურსი“).


ლიბერთი ბანკი აკმაყოფილებს კონკურსის ჭრილში აღნიშნული მომსახურების გაწევის უკლებლივ ყველა პირობას და შესაბამისი დოკუმენტაცია წარდგენილია ვრცელი ფორმით, კერძოდ დეტალური სტატისტიკური მონაცემებით, დანართებითა და სხვა დამატებითი ინფორმაციით, რომელთა ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ სარჩევში:

	გვერდი
საკონკურსო დოკუმენტაცია	1
მინიმალური მოთხოვნები რასაც კონკურსში მონაწილე „ბანკი“ უნდა აკმაყოფილებდეს:	7
დამატებითი შეთავაზება და სხვა უპირატესობები	12
დანართი (გვერდები მითითებულია დანართის გვერდების ნუმერაციით)	
მოკლე შინაარსი	3
სოციალური სუბსიდიების განაწილების პროცესისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და პროცესის მოკლე აღწერა	4
პენსიებისა და სოციალური დახმარების განაწილებაში მომავალი თანამშრომლობისა და საქართველოს მოსახლეობისთვის კიდევ უფრო მოსახერხებელი საბანკო მომსახურების შეთავაზების გეგმა	22
ლიბერთი ბანკის შესახებ	24
ლიბერთი ბანკის როლი ეკონომიკური და სოციალური პროექტების წარმატებით განხორციელებაში	30
ფილიალების განახლებისა და მოდერნიზების წარმატებული პროცესი	55

საკონკურსო კომისიის მეტი კომფორტისთვის ახსნა განმარტებები ასევე მოწოდებულია შემოკლებული ფორმით, კერძოდ სააგენტოს მიერ ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ „მომსახურების გაწევის პირობებში“, „ბანკის ვალდებულებებში“ და „მინიმალურ მოთხოვნებში“ წარმოდგენილი ახსნა განმარტების სახით სადაც ასევე მითითებულია დანართები ვრცელი ინფორმაციით.

პატივისცემით,

გიორგი არველაძე
გენერალური დირექტორი

2013 წლიდან ლიბერტი ბანკმა პიკურ დღეებში საკუთარ ბანკომატებთან დამხმარე პერსონალი განათავსა. აღნიშნული პერსონალი „ბენეფიციარებს“ უწყევნ დახმარებას ბანკომატის საშუალებით პენსიის განაღდებას სწავლაში. არსებული ქმედების შედეგად ყოველთვიურად სულ უფრო მეტი ბენეფიციარი იყენებს ბანკომატს და 2014 წლის სექტემბერში ამ რიცხვმა დაახლოებით 250,000 შეადგინა.

2014 წლის ბოლოდან ბანკომატებთან და თვითმომსახურების ტერმინალებთან არა მხოლოდ პიკური დატვირთვის დღეებში არამედ ყველა სამუშაო დღეს განთავსდება დამატებითი პერსონალი რომლების ბენეფიციარებს დაეხმარებიან თანხის განაღდებაში და გადასახდელების მაქსიმალურად კომფორტულად გადახდაში.

გარდა ამისა პიკურ დღეებში ბანკი გეგმავს დამხმარე პერსონალი განათავსოს გარე ბანკომატებთანაც, რაც ბენეფიციარებს საშუალებას მისცემს თანხის განაღდებასა და გადასახდელების გადახდაში დახმარება 300-ზე მეტ ბანკომატთან მიიღონ.

ბენეფიციარების მომსახურების გაუმჯობესების სხვა დამატებითი ინიციატივები იხილეთ დანართში, გვერდი: 23

7.9. „ფულადი გასაცემლების“ დარიგების პერიოდში საჭიროების გათვალისწინებით (იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარისთვის შეუძლებელია მომსახურების მიღების ადგილამდე გადაადგილება) ბინაზე მომსახურება, თანხის ჩარიცხვიდან არანაკლებ 8 სამუშაო დღის განმავლობაში.

ლიბერტი ბანკს 7.9 პუნქტში აღწერილი პროცესის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და დღეის მდგომარეობით მთელი საქართველოს მასშტაბით ბინაზე მომსახურებით სარგებლობს 117,000 პენსიონერი, საიდანაც დიდ ქალაქებში მხოლოდ 41,000 ცხოვრობს, ხოლო დანარჩენი 76,000 პენსიონერი პენსიას სოფლად იღებს, ამასთან აღსანიშნავია, რომ თანხის ბინაზე მომსახურება თანხის ჩარიცხვიდან არაუმეტეს 8 სამუშაო დღეში სრულდება

დამატებითი შეთავაზება და სხვა უპირატესობები:

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ჭრილში ლიბერტი ბანკი მზად არის საკუთარი შეხედულებითა და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან შეთანხმებით დამატებითი ხარჯები გასწიოს ისეთი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო ან/და სხვა პროექტებისა და ინიციატივების დასაფინანსებლად რომლებიც ხელს შეუწყობენ ბენეფიციარების მომსახურების ან/და მათი სხვა სახის საყოფაცხოვრებო და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ შორის სააგენტოს მიერ, საჭიროების შემთხვევაში ისეთი დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნას ან ოპტიმიზაციას რომელიც ემსახურება იმავე მიზნებს. ამასთან სააგენტოს მიერ ასეთი სურვილის გამოხატვის შემთხვევაში აღნიშნულ ინიციატივებთან დაკავშირებული პიარ კამპანიები დაიგეგმება და ჩატარდება სააგენტოსთან ერთად.

18

აღნიშნული ინიციატივების დასაფინანსებლად ლიბერთი ბანკი მზად არის გაწიოს ჯამური ხარჯი 4,000,000 (ოთხი მილიონი) ლარამდე ოდენობით, შემდეგი გრაფიკის შესაბამისად:

წელი	შესაბამის წელში პოტენციური დაფინანსების მოცულობა
2015	არაუმეტეს 1,200,000 ლარისა
2016	არაუმეტეს 800,000 ლარისა
2017	არაუმეტეს 700,000 ლარისა
2018	არაუმეტეს 700,000 ლარისა
2019	არაუმეტეს 600,000 ლარისა
ჯამი	არაუმეტეს 4,000,000 ლარისა

ასევე გვსურს სოციალური მომსახურების სააგენტოს მივმართოთ თხოვნით (რაც თავისთავად არ ნიშნავს ბანკის მიერ კონკურის წრილში წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტზე უარს), მოახდინოს ხელშეკრულების 10.3 პუნქტის ქვემოთ მოცემული სახით რედაქტირება:

10.3. ხელშეკრულებით და ინსტრუქციით გათვალისწინებული სხვა პირობების (ამ მუხლის 10.2. პუნქტში ჩამოთვლილის გარდა) შეუსრულებლობის (მ.შ. „სააგენტოს“ ან მისი წარმომადგენლის ან შემოწმებელი ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა) ან ამ პირობების არაჯეროვანი შესრულების თითოეულ შემთხვევაზე გათვალისწინებულია ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ყოველ გადაგადაცდილებულ კალენდარულ დღეზე. ამასთან ხელშეკრულების პერიოდის ნებისმიერ კალენდარულ თვეში პირობების/ვადლებულებების შეუსრულებლობის გამო დარიცხული ჯამური პირგასამტეხლო/ჯარიმა (10.2 პუნქტში ჩამოთვლილის გარდა) არ უნდა აღემატებოდეს 30,000 (ოცდაათი ათასი) ლარს.

ჩვენი შეხედულებით, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ჯარიმის თანხა წარმოადგენს მატერიალურ ბერკეტს სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის, ხოლო ბანკს საშუალებას აძლევს სწორად მოახდინოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული თეორიული ფინანსური ვალდებულებებისა და შესაძლო ზარალების შეფასება და შემდეგ აუდიტორებისთვის, პარტნიორებისთვის, რეგულატორისთვის, არსებული და მომავალი აქციონერებისთვის წარდგენა.

პატივისცემით,

გიორგი არველაძე

გენერალური დირექტორი